12/03/2019

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი მიიღო

ა.წ. 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ოფიციალურ წარმომადგენელს, დოქტორ ღასან ხალილს და მის თანმხლებ პირებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებულ ,,ბავშვის უფლებათა კოდექსსაც”.

დოქტორ ღასან ხალილმა მის უწმინდესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის რჩევები მისთვის ღირებული და გასათვალისწინებელია. მან ასევე მზადყოფნა გამოთქვა ეკლესიასთან შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისთვის.

http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9
%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9
%E1%83%99%E1%83%90%E1%83%97-22/